ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3214729

ნომერი: AR1496389

თარიღი : 18.04.2017

გაცემის თარიღი : 19.04.2017

გაცნობის თარიღი : 19.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , I და III მ/რ-ებს შორის , (ნაკვეთი N1/28) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დიმიტრი ვაჩნაძე პ/ნ 01008009697
- ჭავჭავაძის 29-3133 ბინა 67

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მარტის №3177416 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 18 აპრილის №AR1496389 განცხადებით მომართა მოქ. დიმიტრი ვაჩნაძემ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 30 მარტის №3177416 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 30 მარტის №3177416 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, დასახლება დიდი დიღომი , I და III მ/რ-ებს შორის , (ნაკვეთიN1/28), შპს ,,ჰაუსარტ-ლუქსი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკ. კოდი №01.10.06.001.028, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 30 მარტიდან 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ: საერთო ფართობად მიეთითოს 26126.46 კვ.მ ნაცვლად 25606.63 კვ.მ-სა, საცხოვრებელ ფართობად მიეთითოს 15477.82 კვ.მ ნაცვლად 15477.74 კვ.მ-სა, კომერციულ ფართობად მიეთითოს 728.05 კვ.მ ნაცვლად 730.27 კვ.მ-სა, საზაფხულო ფართობად მიეთითოს 2471.06 კვ.მ ნაცვლად 1949.09 კვ.მ-სა, ასევე განმცხადებელმა მოითხოვა 2017 წლის 30 მარტის №3177416 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტში 2017 წლის 18 აპრილის №AR1496389 განცხადებით წარმოდგენილი მე-20 სართულის +65.40 ნიშნულის საპროექტო გეგმის დამატება.

სამსახურმა 2017 წლის 18 აპრილის №AR1496389 განცხადებით მოთხოვნილი ცვლილება შეადარა სამსახურის 2017 წლის 30 მარტის №3177416 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2017 წლის 30 მარტის №3177416 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მარტის №3177416 ბრძანებაში ცვლილება, კერძოდ: საერთო ფართობად მიეთითოს 26126.46 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად მიეთითოს 15477.82 კვ.მ, კომერციულ ფართობად მიეთითოს 728.05 კვ.მ, საზაფხულო ფართობად მიეთითოს 2471.06 კვ.მ, ასევე 2017 წლის 30 მარტის №3177416 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურული პროექტს დაემატოს 2017 წლის 18 აპრილის №AR1496389 განცხადებით წარმოდგენილი მე-20 სართულის +65.40 ნიშნულის საპროექტო გეგმა.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მარტის №3177416 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მარტის №3177416 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.